ოქმი №8

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მერვე სხდომისა

ქუთაისი, 2022 წლის 27 სექტემბერი, 15 სთ

სხდომის ჩატარების ადგილი:
საკონფერენციო დარბაზი, N210
ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი N3

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ბ.მახარაძე.**

ესწრებოდნენ: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები: **მ.ნიჟარაძე, ზ.მამასახლისი, გ.კილაძე, გ.ბასილაძე, ა.კოპალეიშვილი, ე.არჩაია, პ.ლილუაშვილი, გ.მანაგაძე, დ.ფხაკაძე, ი.შენგელია, მ.სიმონიძე, კ.გურული, ჯ.ბიბილეიშვილი.**

სულ: კომისიის 14 წევრი.

არ ესწრებოდა: დ.ბახტაძე, რ.ქვაჩაკიძე,ბ. ბრეგაძე.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი ბატონი **დ.ნიშნიანიძე** და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული ერთეულების თანამშრომლები.

კომისიის სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ბ.მახარაძემ** და წარმოადგინა კომისიის სხდომის შემდეგი **დღის წესრიგი:**

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

   /ბ.მახარაძე, დ.ნიშნიანიძე/

2. მიმდინარე და სხვადასხვა საკითხები

კენჭი ეყარა დღის წესრიგს და ერთხმად დამტკიცდა.

კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „დღეს ჩვენ ვატარებთ საფინასო-საბიუჯეტო კომისიის მორიგ სხდომას, რომელიც ბიუჯეტში მე-4 ცვლილებას შეეხება. მასალები თქვენთან გამოგზავნილია. სასიამოვნოა, რომ ამ ცვლილებით ჩვენი ბიუჯეტი 6,4 მლნ. ლარით იზრდება და 132 მლნ. ლარს აღწევს. დეტალური ინფორმაციისთვის სიტყვას გადავცემ ბატონ **დავით ნიშნიანიძეს**“.

1. **მოისმინეს:** ქუთაისის მუნიციპალიტეტის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის ბატონი **დ.ნიშნიანიძის** ინფორმაცია: „საქართველოს მთავრობის 28 ივლისის N131 და 14 იანვრის N51 განკარგულებებით, ქუთაისის მუნიციპალიტეტს გამოეყო 340 ათასი ლარი, სტიქიის შედეგად სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსების მიზნით და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის - 100,0 ათასი ლარი. შეიცვალა საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულება, შესაბამისად ცვლილებები განხორციელდა 2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესაბამის პროგრამულ კოდებზე, კერძოდ, გზების და ტროტუარების კაპიტალური შეკეთების ქვეპროგრამა გაიზარდა 209,0 ათასი ლარით, სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობის ქვეპროგრამა - 186,3 ათასი ლარით, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების რეაბილიტაციის ქვეპროგრამა შემცირდა 10,7 ათასი ლარით. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაციის ქვეპროგრამა შემცირდა 24,5 ათასი ლარით, ქალაქის გამწვანების, მოვლა-პატრონობისა და სკვერების კეთილმოწყობის ღონისძიებების ქვეპროგრამა გაიზარდა 409,7 ათასი ლარით, ხოლო საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების თანხა, მომსახურების მოცულობის ზრდის გამო გაიზარდა 200 ათასი ლარით".

ცვლილებით ადგილობრივი სახსრები გაიზარდა 4881,9 ათასი ლარით (დღგ 3486,9 ათასი ლარით, შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო 300,0 ათასი ლარით, შემოსულობა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან 2000,0 ათასი ლარით, მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 100,0 ათასი ლარით) (დეტალური ანგარიში თან ერთვის).

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

კომისიის წევრი **მ.ნიჟარაძე:** „ქალაქში საყრდენი და დამცავი კედლების მშენებლობაზე რამდენით იმატებს თანხა?"

დ.ნიშნიანიძე: „73,6 ათასი ლარით".

კომისიის წევრი **ე.არჩაია:** „სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებები რამდენით იზრდება?"

დ.ნიშნიანიძე: „340 ათასი ლარით".

კომისიის წევრი **ტ.ლილუაშვილი:** „ჩვენი ბიუჯეტი სულ რამდენს შეადგენს ამ ცვლილებით?"

დ.ნიშნიანიძე: „ამ ზრდის შედეგად ბიუჯეტი შეადგენს 131 967,2 ათას ლარს".

კომისიის წევრი **გ.კილაძე:** „რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სასესხო ვალდებულებები გვეზრდება 70 ათასი ლარით, გადმოცემულ სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებით. თუ ვაპირებთ განაცდური თანხის მოთხოვნას დაზიანებებთან და მიწოდებასთან დაკავშირებით (საუბარი იყო დღეში 160 ევროზე)? ეს თანხა მნიშვნელოვნად წაადგებოდა ქალაქის ბიუჯეტს"

დ.ნიშნიანიძე: „ეს ინფორმაცია მე არ მაქვს, თუმცა ჩვენ არვართ ანგარიშვალდებული პირი, ჩვენ მხოლოდ მესამე პირი ვართ. ანგარიშვალდებული პირი იყო მგფ. მინდა აღვნიშნო, რომ რაც

არის აუდიტის დასკვნაში ამ კუთხით, ბევრი რამ არარეალურია და ამის შესახებ შემხვედრი წერილიც გაიგზავნა“.

კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „ცვლილების პროექტში აღნიშნულია, რომ ქონების გადასახადი 1 მლნ. ლარით მცირდება. გთხოვთ განმარტებას ამ საკითხზე“

დ.ნიშნიანიძე: „მოგეხსენებათ, რომ ჩვენ არ ვახდენთ დღგ-ის და ქონების გადასახადების ადმინისტრირებას. მათ პარამეტრებს ჩვენ წერილობით ვღებულობთ ფინანსთა სამინისტროდან და ვითვალისწინებთ ბიუჯეტში. ქონების გადასახადი კი შეგვიმცირეს, მაგრამ დღგ გაგვიზარდეს 3484 ათასი ლარით“.

კომისიის წევრი **გ.კილაძე:** „ჯარიმებიდან და სანქციებიდან ამოღებული თანხა გაიზარდა?“

დ.ნიშნიანიძე: „დიახ, 300 ათასი ლარით“

კომისიის თავმჯდომარე **ბ.მახარაძე:** „ბიუჯეტის გაზრდა ყოველთვის მისასალმებელია. თუ სხვა შეკითხვები არ გაქვთ, კენჭი ვუყაროთ წარმოდგენილ საკითხს“.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ საკითხს: **მომხრე** 12, **წინააღმდეგი** - არც ერთი

თავი შეიკავა - 2.

დაადგინეს: მხარდაჭერილ იქნას წარმოდგენილი ცვლილებები.

ამით, საკრებულოს კომისიის მერვე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე **ბაქარ მახარაძე**